ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 13 01 2020 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 2-ნ

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის 2020 წლის 6 იანვრის №1.1/1 ბრძანების ,,2019 -2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ", ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-20 მუხლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/16. 13.01.2020), ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (N1/08, 09.01.2020) სკოლების დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები მობილობისთვის 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დანართი N1-ის შესაბამისად.

2. განისაზღვროს ვადები 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. უნივერსიტეტის მიერ მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში წარდგენა მოხდეს არაუგვიანეს 2020 წლის 17 იანვრის 18^{00} საათისა.

5. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ვაკანტური ადგილები:

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში**
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ა.ა) სამართალი - **30 ადგილი;**
   ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესები - **30 ადგილი;**
   ა.გ) ისტორია - **25 ადგილი;**
   ა.დ) ქართული ფილოლოგია - **25 ადგილი;**

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
   ბ.ა) სამართალი - **19 ადგილი;**
   ბ.ბ) საჯარო მმართველობა - **18 ადგილი;**
   ბ.გ) ქართული ფილოლოგია - **3 ადგილი;**

2. **ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში**
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ა.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - **42 ადგილი;**
   ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი - **20 ადგილი;**
   ა.გ) ეკონომიკა - **15 ადგილი;**
   ა.დ) ფსიქოლოგია - 15 **ადგილი;**
   ა.ე) კომპიუტერული მეცნიერება - **20 ადგილი;**

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
   ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - **20 ადგილი;**
   ბ.ბ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - **15 ადგილი;**
   ბ.გ) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება - **3 ადგილი.**

შენიშვნა: 1. სწავლის წლიური საფასური ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა სამართლის და საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა შეადგენს **2250 ლარს**, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) სამართალი - **2450 ლარს**;

ბ) საჯარო მმართველობა - **2350 ლარს**.

2. მობილობით გადმოსულ ყველა სტუდენტს, უნივერსიტეტის რეგულაციებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუფინანსდება სწავლის წლიური საფასურის 20% (სწავლის წლიური გადასახადი სტუდენტებს ყველა პროგრამაზე, გარდა სამართლისა და საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა განესაზღვრებათ 1800 ლარის ოდენობით, სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე 1960 ლარის, ხოლო საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე -- 1880 ლარის ოდენობით;

ბ) 50%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტი მიიღებს 20%-ან საუნივერსიტეტო თანადაფინანსებას და სწავლის წლიური გადასახადი მათ ყველა პროგრამაზე, გარდა სამართლისა და საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა განესაზღვრებათ 675 ლარის ოდენობით, სამართლის სამაგისტრო პპროგრამაზე 735 ლარის, ხოლო საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე - 705 ლარის ოდენობით;;

გ) 70%-ნი სახელწიფო გრანტის მქონე სტუდენტი მიიღებს საუნივერსიტეტო თანადაფინანსებას დარჩენილი 30%-ის ოდენობით და სწავლის წლიური გადასახადი მათ ყველა პროგრამაზე დაუფინანსდებათ სრულად,

დ) 100%-ნი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტს მიეცემა სტიპენდია ***125 ლარის*** ოდენობით

ე) სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებს სთავაზობს სწავლის სემესტრული/წლიური საფასურის გადახდის ეტაპობრივი გადახდის პირობებს.

დანართი N2

2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2020 წლის 7 – 13 თებერვალი;

ბ) კრედიტების აღიარებისა და გასაუბრების კომისიების მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2020 წლის 7 - 14 თებერვალი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2020 წლის 8 - 17 თებერვალი;

დ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2020 წლის 18 - თებერვალი;

ე) მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება 2020 წლის 19 თებერვალი, წარდგენა მართვის სისტემაში - 20 თებერვალი.

მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

ე) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული); მაგისტრანტებისათვის - ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებული ტესტის ტიპის შესახებ;

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ზ) სახელმწიფო/სოციალური გრანტის მქონე სტუდენტებმა მართვის სისტემის მიერ გაცემული ცნობა გრანტის გადმოტანის შესაძლებლობის, ოდენობის (ლარში) და დაფინანსების პერიოდის მითითებით.

თ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების (არსებობის შემთხვევაში) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.